ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

ა(ა)იპ - საქართველოს სამხედრო ისტორიის
საზოგადოებას

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
ა(ა)იპ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოებასა
და
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიას
შორის

ქ.გორი 9 მაისი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში ,,აკადემია,,), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკ **მამია ბალახაძის** სახით და ა(ა)იპ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება (შემდგომში ,,საზოგადოება,,) წარმოდგენილი საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის დოქტორის, **მამუკა გოგიტიძის** სახით (შემდგომში ,,მხარეები,,) ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ნებასა და მზადყოფნას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საზოგადოებასა და აკადემიას შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს:

- სამხედრო ისტორიის საკითხების განვითარების ხელშეწყობას;

-არსებული სამხედრო - ისტორიული და სამეცნიერო პოტენციალის შესწავლას;

-სამხედრო ისტორიის პრობლემებზე სამეცნიერო, კვლევითი, საგანმანათებლო პროექტების განხორციელებასა და მათი შედეგების რეალიზაციის ხელშეწყობას;

-საგანმანათებლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;

-სამხედრო ისტორიული, საინფორმაციო, ანალიტიკური და სხვა სახის პროდუქციის შექმნას (კრებულის, ჟურნალის, სახელმძღვანელოს, მეთოდური ლიტერატურის შემუშავება-გამოცემას).

მუხლი 2

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1.მხარეები:

ა) შექმნიან თანამშრომლობის რეალურ პირობებს და ხელს შეუწყობენ თანამედროვე სამხედრო საქმის პოპულარიზაციას და განვითარებას:

ბ) ითანამშრომლებენ მომავალ ოფიცერთა კორპუსის მომზადებაში:

გ) გამოხატავენ მზადყოფნას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ამაღლებაში:

დ) ხელს შეუწყობენ სამხედრო განათლებისა და სამხედრო მეცნიერების სფეროში გამოცდილებისა და სიახლეების ერთმანეთისთვის გაზიარებას:

ე) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სხვა აქტივობების ჩატარების საკითხებში:

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში:

2.2. აკადემია:

ა) უზრუნველყოფს საზოგადოების პერსონალის ჩართულობას საბაკალავრო-საგანმანათებლო მომზადებაში, სამეცნიერო-კვლევით პროცესებში და მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა აქტივობებში;

2.3. საზოგადოება:

ა) მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე ვალდებულებას იღებს ჩაერთოს აკადემიაში მიმდინარე საგანმანათელბლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში, ასევე დაეხმაროს აკადემიას ისტორიის მუზეუმის შექმნაში;

მუხლი 3

დამატებითი პირობები

3.1. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

3.2. მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს, არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული

ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე.

3.3. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

3.4.მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შესემსრულებელი

პოლკოვნიკი
მამია ბალახაძე

ა(ა)იპ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე,

ისტორიის დოქტორი
მამუკა გოგიტიძე